ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03/11

ბრალდებულთა და მსჯავდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

5 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - ბესიკ დევდარიანის სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „ორიენტ ლოჯიკი"
მის: ქ. თბილის, ბელიაშვილის N8
წარმოდგენილი მინდობილი პირის - ალან სანაკოევის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ბაზის ბანკი";
ბანკის კოდი: CBASGE22
IBAN: GE96 BS00 0000 0005 9368 72
(შემდგომში „მიმწოდებელი")

წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის (ს[1]) ქვეპუნქტი და *2015 წლის 4 მარტის N MCLA 1 15 00217361 მოხსენებითი ბარათი.*

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის მოკვლევის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- 1 (ერთი) ერთეული პრინტერის შეკეთების მომსახურების შესყიდვა;
- CPV კოდი: 50300000 - პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;

3. **ფასები და ანგარიშსწორების პირობები**

3.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს - 70.00 ლარს (სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი).

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;
3.3 დაფინსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულის მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. მომსახურების გაწევის პირობები
4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 3 (სამუშაო) დღის ვადაში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა.
4.2 მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს: ქ. თბილისი, ბელიაშვილის N8.
4.3 მომსახურების გაწევის პირობები და ერთეულის ფასები განისაზღვრება დანართიN1-ის შესაბამისად;
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.2 შემყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამეტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლაშა აბრამიძე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
6.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს გაწეული მომსახურების ხარისხში.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.
6.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამეტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლაშა აბრამიძე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა
8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3 თუ „მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.
9.3.2 განუსაზღვროს მომსახურების გაწევის დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი" დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მომსახურების განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.5 თუ „მიმწოდებელი" დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მომსახურების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი" წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
ბესიკ დევდარიანი	ალან სანაკოევი

<u>დანართი N1</u>

2015 წლის 5 მარტის N03/11 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	გაზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	503 12300	Printer HP Laserjet Pro M1536dnf - პრინტერის შეკეთება და გაწმენდა	ცალი	1	70.00	70.00
		ჯამი:				70.00

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ბესიკ დევდარიანი

მიმწოდებელი:
შპს "ორიენტ ლოჯიკი"

ალან სანაკოევი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 5 მარტი 2015 წელი

მიმწოდებელი: შპს „ორიენტ ლოჯიკი"

ხელშეკრულების № 03/11

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. ბესიკ დევდარიანი
2. ამირან ჯებისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. ლაშა აბრამიძე

MCLA 1 15 00217361

04/03/2015

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ბ.დევდარიანს

ბატონო ბესიკ,

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პრინტერი გამოვიდა მწყობრიდან და საჭიროებს შეკეთებას. (წერილი N 363916)
გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნულის განხორციელება.

პატივისცემით

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / სამედიცინო დეპარტამენტი
უფროსი
დემურიშვილი თამთა

მიღება ჩაბარების აქტი N03/11

ქ. თბილისი

9 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
მისი წარმომადგენელი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ლაშა აბრამიძე**
მის: ქ. თბილისი, სანდროეულის ქ. № 3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „ორიენტ ლოჯიკი"
მის: ქ. თბილის, ბელიაშვილის N8
წარმოდგენილი მინდობილი პირის - **ალან სანაკოევის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ბაზის ბანკი";
ბანკის კოდი: CBASGE22
IBAN: GE96 BS00 0000 0005 9368 72
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 5 მარტს გაფორებული N03/11 ხელშეკრულების ფარგლებში, „მიმწოდებელმა" გაუწია შემსყიდველს შემდეგი დასახელების მომსახურება:

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	503 12300	Printer HP Laserjet Pro M1536dnf - პრინტერის შეკეთება და გაწმენდა	ცალი	1	70.00	**70.00**
ჯამი:						**70.00**

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ლაშა აბრამიძე

მიმწოდებელი:
შპს „ორიენტ ლოჯიკი"

ალან სანაკოევი

GEORGIA, TBILISI ORIENT LOGIC Ltd RN 202052054